



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის
დირექტორის**

ბრძანება № 03-04/09

ქ. თბილისი

30.09.2021 წ.

**ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით
ობსერვატორიაში საქმიანობის თავისებურებების შესახებ**

საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში (შემდეგში - „ობსერვატორია“) ვირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების, თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შენარჩუნების მიზნით, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების, „სამუშაო ადგილზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების, ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული ობსერვატორიის წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დადგინდეს საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით ობსერვატორიაში საქმიანობის პირობები წინამდებარე ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. განისაზღვრონ, შესაბამის სამუშაო ადგილებზე, ბრძანების აღსრულებაზე პასუხისმგებელ პირებად (უფლებამოსილი პირი) მთავარი ასტრონომ-მენეჯერი, ვ. ყულიჯანიშვილი (მთა ყანობილი) და ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე, ბ. ჩარგვიშვილი (თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47/50, მე-5 სართული).

3. დაევალოს ობსერვატორიის დირექტორის თანაშემწეს (ე. დოხნაძე) და საქმისწარმოებისა და არქივის სპეციალისტს (თ. მერაბიშვილი) წინამდებარე ბრძანების საჯაროდ გამოცხადება.
4. ბრძანება ძალაშია 2021 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით საქართველოში დადგენილი შეზღუდვების გაუქმებამდე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი



რევაზ ჭანიშვილი

**საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით ობსერვატორიაში
საქმიანობის პირობები**

1. საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, სავალდებულოა ობსერვატორიაში მყოფმა პირმა დაიცვას ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლები, რეკომენდაციები და ჰიგიენის წესები, რომლებიც დადგენილია/რეკომენდებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ (<https://stopcov.ge>).
2. სამუშაო ადგილზე 15 კალენდარული დღის განმავლობაში არ გამოცხადდეს ის თანამშრომელი:
 - ა) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა პირთან, რომელსაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი (COVID-19) ან აღნიშნულის დასადგენად უტარდება ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევა (ვიდრე არ დადგინდება უარყოფითი პასუხი);
 - ბ) აქვს ახალი კორონავირუსისთვის (COVID-19) დამახასიათებელი სიმპტომები, რა დროსაც გადაუდებლად უნდა მიმართოს ექიმს.
3. სავალდებულოა თანამშრომელმა კორონავირუსის (COVID-19) რისკ ჯგუფში შემავალ პირთან კონტაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს უშუალო ხელმძღვანელს და დაუყოვნებლივ გადავიდეს თვითიზოლაციის რეჟიმში.
4. ობსერვატორიაში დაავადების სიმპტომის გამოვლენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს დაავადებული პირის იზოლაცია, ამასთან, განხორციელდეს ობსერვატორიის დირექტორის ინფორმირება.
5. ობსერვატორიაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) აღმოჩენის/გამოვლენის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში ობსერვატორიის დირექტორი უფლებამოსილია შესაბამის უწყებებთან კონსულტაციით, საჭიროების შემთხვევაში გამოაცხადოს კარანტინი.
6. მაქსიმალურად შეიზღუდოს/რეგულირებულ იქნას გარეშე პირთა დაშვება ობსერვატორიის ტერიტორიაზე.
7. უზრუნველყოფილ იქნას ობსერვატორიაში შემსვლელ პირთა თერმოსკრინინგი.